დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

29.03.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 15

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 20

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 23

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 29

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი წანაწყენიშვილი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ხაბეიშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Architecture (major)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	არქიტექტურის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება 0731
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №451 09/12/2011 წელი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	შემოქმედებითი ტური

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“-ს' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ემსახურება დარგის ისეთი პასუხისმგებლიანი და კონკურენტუნარიანი
სპეციალისტის მომზადებას, რომელიც აღჭურვილი იქნება არქიტექტურის ძირითადი კონცეფციების, განვითარების ისტორიის და ტენდენციების, ასევე არქიტექტურასთან დაკავშირებული სფეროების შესახებ ფართო ცოდნით; შეძლებს პროექტირების და მშენებლობის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას; ექნება უნარი საჭიროების გათვალისწინებით მოახდინოს პრობლემის/ამოცანის განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღება, და არქიტექტურული პროექტის შემუშავება ზედამხედველობის ქვეშ, ესთეტიკური, ფუნქციური, ტექნიკური ასპექტების და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების გათვალისწინებით; განვითარებული ექნება თანამედროვე პროფესიულ სფეროში შესვლისთვის საჭირო ინტერპერსონალური და პროფესიონალური უნარ-ჩვევები. რაც საბოლოო ჯამში მიმართულია იქითკენ, რომ კურსდამთავრებულმა შექმნილი გარემოს მეშვეობით საკუთარი წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“-ს' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამის შემოწმება განხორციელდა დისტანციურ ფორმატში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე. შემოწმებისას, შეფასდა აკრედიტაციის პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  - <u>სტანდარტი 1</u> - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>მეტწილად შესაბამისობაშია</u> მოთხოვნებთან.
  - <u>სტანდარტი 2</u> - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>.
  - <u>სტანდარტი 3</u> - არ შეფასდა.
  - <u>სტანდარტი 4</u> - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (შეფასდა მხოლოდ 4.1 ქვესტანდარტი).
  - <u>სტანდარტი 5</u> - არ შეფასდა.

- **რეკომენდაციები**

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სწავლის სფერომ მოიცვას არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელის მიერ განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა (არანაკლებ 180 ECTS კრედიტისა).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - პროგრამის დაშვების წინაპირობაში მითითებული განმარტება შესაბამისობაში მოვიდეს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ცნობარი აბიტურიენტებისათვის“ მოყვანილ საპროცენტო მაჩვენებელთან.
  - სასურველია სამიზნე ნიშნულების დოკუმენტში, სვეტში „შეფასების პერიოდულობა“ ნაცვლად „IX სემესტრისა“, პერიოდი, როდესაც ხდება აკადემიური მოსწრების შესახებ სრული მონაცემები ანალიზი, მოხსენიებული იქნას სხვაგვარად, ვინაიდან წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შედგება მხოლოდ რვა სასწავლო სემესტრისგან.
  - სასურველია წარმოდგენილ პროგრამაში ცალკე სასწავლო კურსის სახით გათვალისწინებულ იქნას პრაქტიკის კომპონენტი.
  - სასურველია ზოგად მოდულში შემავალი სასწავლო კურსები: „შესავალი არქიტექტურაში“ და „არქიტექტურული პროექტირების საფუძვლები“ სასურველია გადატანილ იქნას ძირითადი სპეციალობის საგნების ნუსხაში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

  -

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

  - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განმარტება საგანმანათლებლო პროგრამის - "არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისური თარგმანის შესახებ “Architecture (major)” ნაცვლად ექსპერტთა მიერ სავსებით სწორად თარგმნილი “Architecture (major specialty)”, მისაღებია, თუმცა თარგმანის შეუსაბამობა გამოწვეული იქნა იმ გარემოებით, რომ ინსტიტუციის მიერ მოწოდებულ არცერთ დოკუმენტში (პროგრამის აღწერა არქიტექტურა BA და არქიტექტურა BA - თვითშეფასების ანგარიში) არ არსებობდა საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ინგლისური თარგმანი.
  - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია 1.3 სტანდარტთან მიმართებით გამოთქმულ რეკომენდაციაზე პასუხი, რაც ექსპერტთა ჯგუფისათვის მისაღებია, თუმცა სასურველად მიაჩნია სამიზნე ნიშნულების დოკუმენტში ნაცვლად „IX სემესტრისა“, პერიოდი, როდესაც ხდება აკადემიური მოსწრების შესახებ სრული მონაცემები ანალიზი, მოხსენიებული იქნას სხვაგვარად, ვინაიდან წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შედგება მხოლოდ რვა სასწავლო სემესტრისგან.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებული იქნა 1.4 ქვესტანდარტის პირველი რეკომენდაცია და შესაბამისად მოხდა მისი ამოღება რეკომენდაციათა ნუსხიდან.
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ძირითადი სწავლის სფეროს კრედიტების რაოდენობის (180 კრედიტი) ამ ეტაპზე გაუთვალისწინებლობის შესახებ, ვინაიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება # 393390 საფუძველზე დარგობრივი მახასიათებლის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 01 აგვისტო.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი 1.4 სტანდარტთან მიმართებით პრაქტიკის კომპონენტზე გამოთქმულ რეკომენდაციაზე პასუხი ექსპერტთა ჯგუფისათვის მისაღებია, თუმცა სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში ცალკე სასწავლო კურსის სახით გათვალისწინებულ იქნას პრაქტიკის კომპონენტი.
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებული იქნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი რიგ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის მოძველებასთან დაკავშირებით და შესაბამისად ამოღებული იქნა რეკომენდაციათა ნუსხიდან.
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებული იქნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი 4.1 სტანდარტთან მიმართებაში და შესაბამისად ამოღებული იქნა რეკომენდაციათა ნუსხიდან.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბაკალავრიატის პროგრამის „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“ მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული. პროგრამის მიზნები, გულისხმობს მოამზადოს პასუხისმგებლიანი და კონკურენტუნარიანი დარგის სპეციალისტი, რომელიც: აღჭურვილი იქნება არქიტექტურის ძირითადი კონცეფციების, განვითარების ისტორიის და ტენდენციების, ასევე არქიტექტურასთან დაკავშირებული სფეროების შესახებ ფართო ცოდნით; შეძლებს პროექტირების და მშენებლობის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას; ექნება უნარი საჭიროების გათვალისწინებით მოახდინოს პრობლემის/ამოცანის განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღება, და არქიტექტურული პროექტის შემუშავება ზედამხედველობის ქვეშ, ესთეტიკური, ფუნქციური, ტექნიკური ასპექტების და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების გათვალისწინებით; განვითარებული ექნება თანამედროვე პროფესიულ სფეროში შესვლისთვის საჭირო ინტერპერსონალური და პროფესიონალური უნარ-ჩვევები. პროგრამის მისიაა წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში შექმნილი გარემოს მეშვეობით.

პროგრამის მიზნები შეესაბამება სწავლის სფეროს, ბაკალავრიატის საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში სწავლის შედეგები ლოგიკურ კავშირშია პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები თავსებადია არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელთან და პროგრამაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ავლენს ისტორიული და თანამედროვე არქიტექტურის ძირითადი იდეების, მიმართულებების და მნიშვნელოვანი ფიგურების შესახებ ფართო ცოდნას და შეუძლია მათი კრიტიკული გააზრება;
- აცნობიერებს სოციალურ-კულტურულ, ქალაქთმშენებლობით, არქიტექტურულ ფასეულობებს და კონტექსტებს, ასევე, გარემოს დაცვასა და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობებს;
- წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, შეუძლია ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, კვლევა და დაპროექტების თეორიისა და მეთოდების ზოგიერთი უახლესი ასპექტის გამოყენებით ორიგინალური არქიტექტურული პროექტის შესრულება (ესკიზიდან-რეალურ პროექტამდე), ფუნქციური და ესთეტიკური მიდგომების გათვალისწინებით;
- აცნობიერებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს, დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს, არქიტექტურის პროფესიის როლსა და მნიშვნელობას არქიტექტურული პროექტზე მუშაობის ყველა ეტაპზე;
- იაზრებს და ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის სისტემებთან დაკავშირებულ სტრუქტურებს, მასალებს, კონსტრუქციებს, სამშენებლო პროცესებს, ტექნოლოგიებსა და სხვა საინჟინრო საკითხებს; ახდენს მათ ინტეგრირებას სხვადასხვა

სირთულის/მასშტაბის საპროექტო დავალებაში;

- არქიტექტურული პროექტის შემუშავების, წარდგენისა და განხილვისას იყენებს ელექტრონულ, გრაფიკულ, მაკეტირების, ვერბალურ, წერით, მულტიმედიურ მეთოდებს;
- პროექტირების პროცესის დროს, პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით, მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში და აქვს განვითარებული ინტერპერსონალური უნარები;
- განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“ წარმოდგენილია სამიზნე ნიშნულები, რაც გულისხმობს: პროგრამის სწავლის შედეგების აღწერას, სასწავლო კომპონენტებს, შეფასების ინსტრუმენტს, შეფასების პერიოდულობას და სამიზნე ნიშნულს - სტუდენტთა რამდენი პროცენტი აიღებს კომპონენტისთვის განსაზღვრული შეფასების მინიმუმ 50%-ს.

ვინაიდან, წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 8 სემესტრს, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია სამიზნე ნიშნულების დოკუმენტში, სვეტში „შეფასების პერიოდულობა“ ნაცვლად „IX სემესტრისა“, პერიოდი, როდესაც ხდება აკადემიური მოსწრების შესახებ სრული მონაცემები ანალიზი, მოხსენიებული იქნას სხვაგვარად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სამიზნე ნიშნულები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სამიზნე ნიშნულების დოკუმენტში, სვეტში „შეფასების პერიოდულობა“ ნაცვლად „IX სემესტრისა“, პერიოდი, როდესაც ხდება აკადემიური მოსწრების შესახებ სრული მონაცემები ანალიზი, მოხსენიებული იქნას სხვაგვარად, ვინაიდან წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შედგება მხოლოდ რვა სასწავლო სემესტრისგან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“ შედგენილია ინსტიტუციაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის განახლებული შინაარსი და სტრუქტურა ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:

- თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტები/დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი

საიდანაც, ძირითადი სწავლის სფერო მოიცავს 120 კრედიტს:

1. არქიტექტურის პროგრამის **სავალდებულო კურსები** - 105 კრედიტი
2. არქიტექტურის პროგრამის **სავალებულო-არჩევითი კურსები** - 15 კრედიტი

ამასთან, პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი საუნივერსიტეტო სასწავლო კომპონენტები ან დამატებითი პროგრამა.

არქიტექტურის ბაკალავრის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად აუცილებელი სასწავლო კომპონენტს წარმოადგენს პრაქტიკა/სტაჟირება, რაც ასევე დადგენილია არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელის დოკუმენტში (**5.2. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა** - „არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია პრაქტიკა, რომელიც როგორც საუკეთესო მოდელი, რეკომენდებულია განხორციელდეს საპროექტო ორგანიზაციებში. უსდ-ს აქვს უფლება, თავად განსაზღვროს პრაქტიკის კონკრეტული ფორმა და მისი განხორციელების ადგილი არსებული რესურსების, ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ხედვისა და კონცეფციის გათვალიწინებით“). აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სასურველია წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას პრაქტიკის კომპონენტი.

ასევე გასათვალისწინებელია რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“ სრულად არ არის თავსებადობაში არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელთან (11.05.2020), კერძოდ, აღნიშნულ დოკუმენტში **5.4. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი** განსაზღვრავს „უმაღლესი განათლების I საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემდგომ სტუდენტს ენიჭება არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (Bachelor of Architecture(BArch); ამასთან, მოპოვებული 240 ECTS კრედიტიდან ძირითად სწავლის სფეროზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს არანაკლებ **180 ECTS**

კრედიტისა“. შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სწავლის სფერომ მოიცვას არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელის მიერ განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა (არანაკლებ 180 ECTS კრედიტისა).

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ვინაიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს არ აქვს არქიტექტურული მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამა, ზოგად მოდულში შემავალი სასწავლო კურსები: „შესავალი არქიტექტურაში“ და „არქიტექტურული პროექტირების საფუძვლები“ სასურველია გადატანილ იქნას ძირითადი სპეციალობის საგნების ნუსხაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სწავლის სფერომ მოიცვას არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელის მიერ განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა (არანაკლებ 180 ECTS კრედიტისა).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია წარმოდგენილ პროგრამაში ცალკე სასწავლო კურსის სახით გათვალისწინებულ იქნას პრაქტიკის კომპონენტი.
- სასურველია ზოგად მოდულში შემავალი სასწავლო კურსები: „შესავალი არქიტექტურაში“ და „არქიტექტურული პროექტირების საფუძვლები“ სასურველია გადატანილ იქნას ძირითადი სპეციალობის საგნების ნუსხაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)"-ს შემადგენელი სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)" ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები სრულად არ არის თავსებადობაში არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელთან, კერძოდ მათ პროგრამაში ეთმობათ 120 კრედიტი ნაცვლად 180 კრედიტისა. აღნიშნული გარემოების შესახებ ექსპერტთა მოსაზრება დაფიქსირებულია 1.4. ქვესტანდარტის შეფასებაში (შეფასება და რეკომენდაცია იხ. 1.4. ქვესტანდარტის აღწერასა და რეკომენდაციებში).

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)"
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

- იხ. 1.4. ქვესტანდარტის რეკომენდაცია

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“ განსაზღვრულია დაშვების შესაბამისი წინაპირობები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, რომელიც წარმატებით გადალახავს შემოქმედებით ტურს და ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

შემოქმედებითი ტურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემოქმედებითი ტურის კონცეფციაში; ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აპლიკანტი მინიმალური კომპეტენციის ზღვარს უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საგნებში:

- ქართული ენა - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მოცულობით;
- უცხო ენა - 40% + 1;
- მათემატიკა ან ფიზიკა - 40% + 1.

თუმცა naec.ge - ზე განთავსებულ ცნობარში აბიტურიენტებისათვის მითითებულია, რომ საბაკალავრო პროგრამაზე „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უცხოურ ენაში არის 30%-ზე მეტი, მათემატიკაში და ფიზიკაშიც ასევე 30-30%-ზე მეტი. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის დაშვების წინაპირობაში მითითებული განმარტება შესაბამისობაში მოვიდეს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ცნობარი აბიტურიენტებისათვის“ მოყვანილ საპროცენტო მაჩვენებელთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“
- თვითშეფასების ანგარიში
- https://iliauni.edu.ge/ge/abiturientebistvis/rogor-chavabaro/bizne

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის დაშვების წინაპირობაში მითითებული განმარტება შესაბამისობაში მოვიდეს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ცნობარი აბიტურიენტებისათვის“ მოყვანილ საპროცენტო მაჩვენებელთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“ ითვალისწინებს საპროექტო, შემოქმედებით და პრაქტიკულ კომპონენტს. პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარებას

უზრუნველყოფს სხვადასხვა სასწავლო კურსი, რომლებშიც გათვალისწინებულია სტუდიური მუშაობა, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლელობა იმუშაონ საკუთარ პროექტებზე.

ძირითადი პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს მოეთხოვებათ საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, რომელზეც ისინი იმუშავებენ სწავლების ბოლო ორი სემესტრის განმავლობაში. მის ფარგლებში სტუდენტი ახდენს საკუთარი ორიგინალური იდეის/კონცეფციის ასახვას არქიტექტურულ პროექტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“ გამოყენებულია, სწავლების საფეხურის შესაბამისი მრავალფეროვანი მეთოდები და ამ მეთოდთა შესაბამისი აქტივობები:

● ლექცია და სემინარი;
● დემონსტრირების მეთოდი;
● ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა;
● პრაქტიკული მუშაობის მეთოდი;
● პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
● სტუდიური მუშაობა - საპროექტოში პრაქტიკული მუშაობა;
● მოდელირება;
● პროექტი;
● ლაბორატორიული სამუშაოები;
● საველე სამუშაოები;
● სუპერვიზია;
● შემთხვევის ანალიზი და სხვა.

პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებში, შეესაბამება მათ შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, კანონმდებლობასთან შესაბამისი და ხელმისაწვდომი. კერძოდ, შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება შემდეგნაირად:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ამასთან ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შეფასების შესაბამისი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☐	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა არ შეფასდა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას. მათი კვალიფიკაცია და არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)“ ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის სტუდენტები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური,	**პროგრამაში ჩართული პერსონალი**	**მათ შორის, დარგობრივი**	**მათ შორის, დარგობრივი**	**მათ შორის აფილირებუ ლი**

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	ს რაოდენობა	მიმართულებით პერსონალი[6]	მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	16			
- პროფესორი	2			
- ასოცირებული პროფესორი	8			
- ასისტენტ-პროფესორი	6			
- ასისტენტი	0			
მოწვეული პერსონალი	20			-
სამეცნიერო პერსონალი				-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- კურსების კატალოგი და სემესტრული გეგმა
- სილაბუსები
- პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაცია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☐	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☐	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☐	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები არ შეფასდა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გიორგი წანაწყენიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ნინო ხაბეიშვილი